ᲙᲠᲝᲚᲔᲑᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲔᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲚᲔᲚᲝ

№ 223 (7534)

23 1983 წ. ნოემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲐᲠᲗᲝᲚ ᲐᲚᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელიც ეხებსა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ჩერქეზიამ**.

საიუბილეო თარიღის ღონისძიებასთან დაკავშირებით ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ეპრაშვილი**, საქართველოს ალპინისტების ფედერაციის თავმჯდომარე **ხ. ცაიშვილი**. სხდომაზე ითქვა, რომ საბჭოთა ალპინისტის 60 წლისთავის საქართველოს დიდაქალაქში აღნიშნება ქიდევ ერთი დასტურია ქართული ალპინიზმის საერთო აღიარებისა, მისი დიდი წვლილისა საბჭოთა და მსოფლიო ალპინიზმის განვითარებაში.

ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავ საიუბილეო ღონიებში (28, 29, 30 ნოემბერი) თბილისში ჩამოვლენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მთაში რუსეთის, უკრაინიდან, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ისინი ნახავენ საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოფენებს, იწყვიან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, ნახავენ დიდაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, 29 ნოემბერს კი მთაწმიდაზე საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართება ჰიტრაკის სასახლეში.

საიუბილეო ღონიებში გამოვა საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პლაკატები, მოიწყობა ფილმების დემონსტრაცია და სხვ.

ᲐᲚᲥᲘᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ—ᲚᲔᲛᲑᲔᲢᲘᲜᲐ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲠᲝᲛᲒᲝᲠᲪ ᲥᲘᲜᲨᲕᲘᲪᲮᲝᲗᲓᲐᲗ, ნ. ალექსანდრია — ი. ლეგრეტნის მატჩის მეოთხე პარტია, რომელიც 20 ნოემბერს გადადგო, გუშანწინ ყაიმით დამთავრდა.

გთავაზობთ ამ პარტიის მსვლელობას.



პარტია გადადებული იყო ასეთ მდგომარეობაში. ლენინგრადელ დიდოსტატს (თეთრები) მატერიალური უპირატესობა აქვს (ორი მხედარი ეტლსა და პიონში), მაგრამ მისი რიგიანობანი ტუჩნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თეთრებმა ირიში რომ დაიწყონ, მხედრების საოცალთაღო „ცოცხრები" დასჭირდება. ალექსანდრიასთვის კი ხელსაყრელია ენდშპილში გადასვლა, რადგან მისი ეტლი უფრო მოძრავი გახდება.

ლეგრეტნის ირიშის მიღებაში ხელი რომ მოეცარა, ენდშპილში გადავიდა. ალექსანდრია თავგადადებით ებრძოდა, ზრდა იყო თეთრების ერთდერთი პიონი, ეტლი შეეწირა. ორი მხედრით შამათ მეთოძლებელია! შეწირეის მოკვლა რეალური რომ გახდა, ლეგრეტნი ყაიმს დასჭერდა. მეოთხე პარტია საერთო ჯამში თითქმის 10 საათს მიდინარეობდა.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ალექსანდრიას შესაშურმა შეთვისებრობამ და ფხიზლმა თამაშმა.

აი, მეოთხე პარტიის ფინალი:

41. g4 (ჩაწერილი სულა) 41. ... h×g4 42. f×g4 f×g4 43. მე4 ლხ4 44. ლ×ხ6 ხ6 45. ლძ5 g×h3 46. მ×g5 h2 47. ლf7+ მძმ8 48. ლg8+ მძმ7 49. ლh7+ მფ×ხ6 50. ლ×h2 a4 51. ლh1+ მძმ7 52. ლh3+ მფ×ხ6 53. ლf3+ მფ×ხ7 54. ლf7+ მფ×ხ6 55. ლძ5+ მფ×ხ7 56. ლ5 ლ×ხ6 57. ლ×ძ6+ მფ×ხ6 58. ლ×ხ6+ მფ×ხ6 59. b×a4 მფ×ძ6 60. მე4+ მფ×ხ6 61. მფ×ხ2 ხ4 62. a5 g4 63. მხ3 g×a5+ 64. მფხ1 g2 65. მხძ2 მფხ5 66. მ×4 მფხ4 67. a6 g1+ 68. მფხ2 g2+ 69. მედ2 g×ხ6 70. a7 g×ხ6 71. მ×ხ5 მფხ5 72 მხ3 g×a7 73. მ×ძ4+ მფ×5 74. მფ×3 g×7 75. მძf3 მფძ5 76. მ×4 g×7 77. მხ3+ მფ×5 78. ძ4+ მფხ5 79. მხ5 ხ4 80. მ5g4 ხ8 81. მf6 ხ×4 82. ძ5 მფ×5 83. მძ7+ მფძ6 84. მხ6 მფ×5. ყაიმი.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲘᲡᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ლონდონში დაიწყო პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩი გ. კასპაროვსა და ჯ. ნორისოს შორის.

მეტოქეებმა გაითამაშეს პირველი პარტია. ახალხედრო დაცვაში ქორნხიამ ახალი გაგრძელება გამოიყენა მე-7 სვლაზე, რამაც დიდი ხნით ჩაფიქრა კასპაროვი. პირველ 17 სვლას ახალგაზრდა დიდოსტატმა სათამაშო დროის თითქმის მთელი ღირებული მოახმარა. ბოლო 12 სვლაზე მას მხოლოდ 3 წუთი დარჩა. სიჩქარეში, 33-ე სვლაზე კასპაროვი შეცდა და უპატიოდ დარჩა. თავგამოდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, პარტიას გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

აი, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა:

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲥᲝᲠᲜᲮᲘᲐ
ახალხედრო დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. მc3 ბ7 5. a3 d5 6. c×d5 მ×d5 7. e3 g6 8. ბხ5+ c6 9. ძd3 g7 10. e4 მ×c3 11. b×c3

ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ: დაგმობის მატჩის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ვ. ტახმაზოვი (მოსკოვი) და მისი მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი ი. ლომპაძე (სოჭი).

თ. ჭოკვას ფოტო.

ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲕᲔᲚᲜᲘᲔᲗᲘᲡ, სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის IV ტურში კვლავ ისახელა თავი ნ. გურიელმა — დაამარცხა ტ. ზაქულოვა-ს (მოსკოვი) და ერთპირიანულ ლიდერის პოზიციები გაიმაგრა.

ამ დღეს კიდევ ორი პარტია დამთავრდა. ე. ახალლიკაია (ბეჭვითა) დაუზავდა ლ. ზაიცევას (მოსკოვი), ხოლო 16 წლის ჯ. ბაგისკიაურიძემ (ვილნიუსი) მოიგო ო. ივდილსონს (ვიტებსკი).

გთავაზობთ პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრების შედეგებს: ქანაბარშვილმა მოიგო ზაიცევას, პეტკოვმ — ივდილსონს, ლიტინსკაიამ — ერაქოლანოვას, მატიევამ — ლიტინსკაიას, ახმილოვამ — ზაიცევას. გადადო I ტურიდან გამოუვიდელი ოსტრიი — ფომინას შეხვედრა, თეთრებს ზედაპირი ფიგურა აქვთ.

4 ტურის შემდეგ ნ. გურიელს 4 ქულა აქვს, ე. ახმილოვას,კაიას —3.



● ᲞᲐᲜᲓᲐᲙᲘ

ᲧᲝᲩᲐᲮ. ᲖᲣᲠᲐᲑ!

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ოსტატ ჯ. აზმაფარაშვილის სახით საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციას კიდევ ერთი საერთაშორისო ოსტატი შეემატება. ეს ცნობილი გახდა საჭადრაკო ტურნირის დამთავრების შემდეგ.

თითქმის სამ კვირის მიმდინარეობდა ეს ტურნირი, რომელშიც 14 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში საერთაშორისო ოსტატის ნორმად 7 ქულა იყო დაწესებული. თბილისელმა ოსტატმა მაზნად დაისახა მის შესრულება, მით შემტკნა, რომ პირველი ბიჭი (საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღებად საჭიროა 2 ბაღი, ანუ ნორმის ოთხერთ შესრულება) ზურაბმა მიიღო ჩაკეთში (აშშ), ახალგაზრდა მოჭადრაკემ გუნდების მსოფლიო პირველობაში.

ბაქოს ტურნირში აზმაფარაშვილი მეოთხეოთად მიიწევდა მიზნისკენ, როცა მოულოდნელად ორი პარტია წააგო. ამის მოუხედავად, მან შეძლო მობილიზება — ზედიზედ დაამარცხა ოსტატი ფ. სიროჟიდ-ზადე, დიდოსტატი ნ. რაშკოვსკი, საერთაშორისო ოსტატი ტ. ტოშკოვი (ბოლგარეთი) და სანუკვარი 7 ქულა მოაგროვა. მან ინგლისელ დიდოსტატ ჯ. სალმენთან VII-VIII ადგილები გაიყო.

გაისად ფიდე-ს კონგრესზე ზ. აზმაფარაშვილს ოფიციალურად მიეკუთვნება საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ბაქოდან ქართველი მოჭადრაკე გემგზავნა ბრატისლავაში (ჩეხოსლოვაკია), სადაც ახალ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრება 8 დეკემბრამდე გასტანს.

თ. ნინოშვილი.

„ᲚᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ“— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲐᲚᲐᲕᲔᲑᲘ

ᲨᲔᲪᲘᲜᲘᲡ ქალაქ გატჩინაში გაიმართა პოპულარული საორთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჰიდაობაში. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები, რომლებმაც დამჯერებლად მოიგეს გუნდური პირველობა და მთავარი პრიზი — „ლომის თასი“ დასაკუთრეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ჩვენი ქვეყნის 7 წარმომადგენელი: ქიბლელი ა. ტორჯი (48 კგ), მოსკოველი ს. კორნილიევი (52), ივანელი ა. ბელოკაზოვი (57), ჩრასნოიარსკელები — ვ. ალექსეევი (62) და ვ. მოდოსანი (82), ტაშკენტელი ა. ხოდარკევი (100) და მოსკოველი ს. ხასიბაღოვი (+ 100).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲕᲜᲐᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲕᲐ“—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ მოყვარულთა შორის დიდი მოწონებით და პოპულარობით სარგებლობს ყოველ კვირეულად „სპორტგვიანა მოსკვა“ — ვაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ მ-გვიდნაინი დამატება. გამოცემა (იგი 1975 წლის იანვრიდან გამოდის) უხვად ბეჭდავს საინტერესო მასალებს არა მარტო დედაქალაქის სპორტული ცხოვრებიდან, არამედ მთლიანად საბჭოთა სპორტზე, გვაწვდის ოპერატიულ საზღვაგარეთული ინფორმაციას, ეცნობა ჩვენს, ოლიმპიურ ჩათამატებს, რეგულარულად სტამბავს მხიარულ კუთხეს „ტიან-შუტს“, რუბრიკას „სპორტული ფიშა“ და სხვა.

სამწუხაროდ, „სპორტგვიანა მოსკვა“ მხოლოდ მოსკოვში ვრცელდებოდა და თბილისელ გულშემატკივრებთათვის, ასე ვთქვათ, „ეგზოთ ნოთა“ წარმოადგენდა — სპეციალურად თუ ჩამოიტანდა ჩვენს ქალაქში ვინმე. გთავაზობთ რა მკითხველის დიდი ინტერესი ამ გამოცემისადმი, თბილისის სპორტკომიტეტმა თხოვნით მიმართა სოციუბიტების მოსკოვის სამმართველოს, რათა ჩვენი ქალაქისათვის გამოეყოთ გარკვეული რაოდენობის „სპორტგვიანა მოსკვა“.

თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა — ეს საინტერესო გამოცემა კვირას უკვე გაიყიდა თბილისში. ცხადია, მცირე რაოდენობის გამო ოგი ყველას ვერ უშველება. ამ შემთხვევაში სპორტის მოყვარულებს დაეხმარება ქალაქის ბიბლიოთეკები, პირველ ყოველივე კი სპორტული წიგნის ბიბლიოთეკა, რომელიც, როგორც ცნობილია, გამარჯვების პარკშია მოთავსებული.





წინ სპორტაკიადა

როგორც ვიფიქრებდით, საქართველოს ზამთრის სპორტაკიადა უზენ გაიმართა თბილისის ჩემპიონატი 1968-69 წლებში დაბადებულ წყალბურთელებს შორის. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რეპუბლიკური კატეგორიის მსაჯს, თბილისის სპორტკომიტეტის საწყობო სამეურნეო განყოფილების უფროსს რემაზ ბოსტოღლს და ესაუბრა მას.

— ყოველი ასპარეზობა გამწყრალი შრომის ერთგვარი შედეგია. იგი ნათლად ავლენს, რამდენად შეიგრძნობა იყო სპორტსმენთა დაოსტატების პროცესი, რა ტენდენციურ თუ ტაქტიკურ საბრძოლველს იყენებენ მათთან მოპაიჭობენ მწვრთნელები; რამდენად საინტერესო იყო ამ მხრივ განვლილი ასპარეზობა, რა გვეჩვენა განვლილმა ხუთმა დღემ?

— დასრულებული ჩემპიონატი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია. ასპარეზობამ დაგვანახა, რომ გადასაჭრელი პრობლემა საკმაოდ ბევრია. ჩვენმა წყალბურთელებმა ჯერ კიდევ შორი უნდა იმოგზაონ ბორთის მიღმა-დამოშავებისათვის და ტაორნაში დაოსტატებისათვის. ამას გარდა, ისინი სუსტად არიან მომზადებული ფიზიკურად, ჟარით დიდხანს ცურავი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ „დინამო I" და თბილისის განათლების სამმართველოს ცურვის სკოლის I გუნდებში. სულ მალე თბილისის განათლების სამმართველოს ცურვის სკოლაში გაიხსნება 50-მეტრიანი აუზი, რაც, ჩვენი აზრით, სპორტსმენებს საშუალებას მისცემს აიმაღლონ და დახვეწონ ოსტატობა.

სამწუხაროდ, ზემოთქმული ერთი რკოლია იმ პრობლემებისა, რომლებიც საერთოდ, მეტად მწვავედ დგას ჭარბთული წყალბურთის წინაშე. ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ არ ხორციელდება რისპუბლიკის სპორტკომიტეტის 1981 წლის დადგენილება წყალბურთის განვითარების თაობაზე. სპორტსაზოგადოებებში „ლოკომოტივში", „მრომით რეზერვებში" არ არის გახსნილი წყალბურთის სექციები, ხოლო „ბორევესტნიკში" თავს არიდებს ბავშვთა ჯგუფებთან მუშაობას. არადა წყალბურთში ვარჯიშის მსურველთაგან ძალიან ბევრს უარით ისტუმრებენ.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადაწყვიტეთ დეკემბერში მოსკოვიდან მოვიწვიოთ სპეციალისტები, რომლებიც ჩვენს მწვრთნელებს მისცემენ თეორიულ რჩევა-დარიგებებს, ამასთან პრაქტიკულად დაგვეხმარებიან, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ თანამედროვე წყალბურთის ნოუ-ხაუს.

მომავალი წლის სექტემბრიდან ყოველ კვირას ჩავატარებთ შეჯიბრებას თბილისში მოქმედ ჯგუფებს შორის. ეს ხელს შეუწყობს მწვრთნელთა გამოცდილების განზოგადებას, სპორტსმენებს გამოუმუშავებს შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის აუცილებელ ჩვევებს. ამ ღონისძიებათ დაინტერესებულია არიან აგრეთვე ფიზკულტორის ინსტრუქტორის პედაგოგები. ისინი დაისწრებიან შეჯიბრებებს და დახმარებიან მწვრთნელებს, სწორად გააანალიზონ თამაშის დროს დაშვებული შეცდომები, მისცემენ კონკრეტულ მითითებებს მათი აღმოფხვრისთვის. მხოლოდ ერთობლივი მცდელობით და თანადგომით შეიძლება იმ ჩამორჩენის დაძლევა, რომელიც ჩვენს წყალბურთშია, — ბევრჯერ დასახსოვრა რ. ბოსტოღლმა.

ზ. კასარაძე.

● ● ●

ს უ რ ა თ ე ბ ზე: მომწვანება განვლილი ჩემპიონატიდან; თბილისის განათლების სამმართველოს ცურვის სკოლის I გუნდის მწვრთნელი გელა ხეხნაშვილი.

ავტორის ფოტოები.

სპორტული გარდაბანი

დამთავრდა გარდაბნის რაიონის პირველობა ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 170-ე წლისთავს.

I ადგილი და გარდაბნელი თასი დაისაკუთრა მუყაო-რუზეროდის ქარხნის გუნდმა (დირექტორი გ. შენგელაია, მწვრთნელი ღ. ჯაიანი), რომელმაც მთელი გათამაშება კარგად ჩაატარა და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის სახელი. II ადგილზე გავიდა გარდაბნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის (დირექტორი ო. გურგულიშვილი, მწვრთნელი ვ. სილიჩი), ხოლო მესამეზე — შინაგან საქმეთა განყოფილების გუნდი (უფროსი ზ. კიკნაძე, მწვრთნელი ი. ჭითაძე).

შეგიძლიათ გამოიცნოთ პრესპეციალური ფეხბურთელები, რომლებსაც უნარი შესწევთ აიმაღლონ ოსტატობა და შეაესონ საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე „სამგორის" გუნდი.

ბარდაბნის № 10 პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 66-ე წლისთავს.

გუნდურ პირველობას ერთმანეთის ეცილებოდნენ 16 კოლექტივი. ისინი დაყოფილი იყვნენ 2 ქვეჯგუფად. პირველი ადგილი დაიკავა თბილისრის გუნდმა, რომელშაც ფინალში დაამარცხა რაიონის შრომაში-ლეტიკური კოლექტივი. III ადგილზე „სავსოფლტექნიკის" გარდაბნის განყოფილების გუნდი.

ქალთა პირად პირველობაში მონაწილეობდა 18 სპორტსმენი. შეჯიბრება დაფარცხებლად განვლო და რაიონის ჩემპიონობა შეინარჩუნა თბილისრესის წარმომადგენელმა ვ. დონდუამ. მეორე ადგილზე გავიდა გარდაბნის I საშუალო სკოლის პიდაგოგი მ. ობოლენკო, მესამეზე — ამავე სკოლის წარმომადგენელი ფ. ფაშაევა.

კაცთა ტურნირში 62 მონაწილეს შორის საუკეთესო იყო რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ბაღშეთა განყოფილების გამგე ა. კაბანაძე, რომელმაც გაიმარჯვა ჭიდაობის და I ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა რაიონის ათჯერ ჩემპიონი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ნიკოლაშვილი. მესამე ადგილზე № 10 პროფტექნიკური სასწავლებლის ტურნირთაგრეგატორი ს. ჩერნენკენკო.

შეჯიბრებამ ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩაიარა, თუმცა, სამწუხაროა აღვნიშნოთ, რომ მასში მონაწილეობის თავი აარიდეს გარდაბნის რაკეტმშრომ, 47-ე პროფსაწვავსაშენმა, ატმოსფეროსპორტო „ანტარამ, მუყაო-რუზეროდის ქარხნებმა, თბილისრესის სამშენებლო სამმართველომ და ზოგიერთმა სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

ვ. ასათიანი.

10 სახეობაში

დამთავრდა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმარგანეცის" პროფკავშირის კომიტეტის ფიზკულტურული კოლექტივების ტრადიციული სპარტაკიადა, რომელიც სპორტის 10 სახეობაში ჩატარდა.

გამარჯვება და გარდამავალი თასი მოიპოვა ცენტრალური ელექტრომაკონტროლური სახელოსნოს ფიზკულტურის კოლექტივმა, მეორე ადგილზეა ორგორკომის, მესამეზე — ზ. პატარაძის სახელობის მაღაროსა სამმართველოს ფიზკულტურის კომიტეტი.

ვ. ლურსმანაშვილი,
(„ლელოს" კორ.).

ჰაეროვნება.

ჩვენს ქუჩა ვასილაძეზე

აუზი — 2 წლის ასაკიდან

კლაიპედი მეზღვაურების ბავშვებმა მიიღეს „ნიპტუნის სახლი". სპორტი ჭალაჭინი აგებული აუზის „მობინადრეთა" კონტინგენტი წკაპრად შეზღუდულია — აქ მხოლოდ 2-დან 7 წლის ასაკამდე ბავშვები დადიან.

კლაიპედის აუზი პირველია რესპუბლიკაში, სადაც 8 სანაშაო ბაგისა და ბაღის აღსაზრდელები ვარჯიშობენ. მეცადინეობა მიმდინარეობს 150 კვადრატული მეტრის „აბაზანაში".

„ნეპტუნის სახლი" მიიღეს, აღრეთვე, ლატვიის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის სნეჩკუსის ნორჩმა მოქალაქეებმა. რესპუბლიკაში იზრდება საკუთარი აუზების მშენებლობა და ბაღების რაოდენობა.

ეუფლებიან „ოლიმპიურ" საგნებს

თავისებური რეკორდი, რომელიც შეიძლებელია წამყვანთან „გაიზომოს", დაამყარეს დონეცკის მადანსარეწმენტო ქარხნის სპორტის სასახლეში „იუბილეინის" აუზში. 2 თვის მანძილზე ამ ცურვა აუზეა მეშაბტეთა ქალების სკოლების დაწყებითი კლასების 400 მოსწავლემ.

ქარხნის მწვრთნელები კვირაში ორჯერ ავარჯიშებენ ბავშვებს, ბევრნი რეგულარულად დადიან სექციაში, ხოლო კლასზე ნებიერები მიიწვიეს ცურვის სპეციალურ ტრენაჟერი წყალში ხელებისა და ფეხების მოძრაობის ინტერვალის და ბრასის სტილით ცურვის დროს სწორი სუნთქვის გამომუშავების საშუალებას იძლევა.

ბალტიისპირეთის ხანმოკლე, ზმირად პირველი ზაფხული საიმედო რიდია მათთვის, ვისაც ცურვის შესწავლა სურს, ამიტომ ინსტრუქტორი ჯერჯერობით არ არის, და ა, უფროსმა მასწავლებელმა ი. უსტინსმა შექმნა მოწყობილობა, რომლის დახმარებით მოკლე ვადაში შეიძლება ცურვის ანბანის დაუფლება.

ტრენაჟერზე 6-8 მეცადინეობის შემდეგ სტუდენტმა დაფძაბავად შეუძლიათ 100-200 მეტრის გაცურვა. პიროველმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მოწყობილობის წყალთან ახლოს ადგილი დაიკავეს ცურვის ანბანის დაუფლება.

ტრენაჟერზე 6-8 მეცადინეობის შემდეგ სტუდენტმა დაფძაბავად შეუძლიათ 100-200 მეტრის გაცურვა. პიროველმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ მოწყობილობის წყალთან ახლოს ადგილი დაიკავეს ცურვის ანბანის დაუფლება.

(ხაიდეხი).

● ● ●

უოველდღიურად სპორტში ვარჯიშობს ხაშურში მიეცა 30 ათას სუფთაოდენ (აზერბაიჯანის სსრ) მოსწავლეს. ამაზე იზრუნეს მათმა შეფებმა — ქალაქის სამრეწველო საწარმოების მუშაკებმა, რომლებიც ახლო სამომავლო წლისთვის სპორტული კომპლექსებით აღჭურ.

ს უ რ ა თ ზე: ვარჯიშობენ 28-ე სკოლის გიმნაზიელები. ხაიდეხის ფოტო.

„სპარტაკი“ და „სპარტა“

ეკონომია. საკლუბო ტურნირებში ახლა ბრძოლა განიარაღების ოქმის თანამონაწილეა. წლევანდელ უფიცო ჩატარების მერიდიანულ მატჩებზე, ხოლო გამსაჯ მეოთხედფინალიდან ბრძოლა განიარაღების სამიავე საკლუბო ტურნირის გუნდები.

დღეს ცენტრალური ტელევიზიის 1 პროგრამით, 23 საათზე თბილისის დროით, ვიხილავთ ლუჟას-თანას პირველი მერიდიანალური მატჩის ტრანსლაციას ლიტერატურამდან, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი „სპარტა“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

ცნობილია, რომ 2-თანეიან მატჩებში ყოველთვის ჯობია პირველი შეხვედრა ჩაატარო სტუმრად, ხოლო საპასუხო — შინ, ეს მცირე უპირატესობა იმითაა განპირობებული, რომ მასპინძელი გუნდი საკუთარ მინდორზე კონკრეტული ამოცანითაა ეიმსახურება და მატჩ წარმატებით ირჩევის მის განსახორციელებლად. ამდენად, სპარტელებს ახლა უფრო მომგებიანი პოზიცია აქვთ და მათ სავსებით მატჩში ჩვენც დიდად დაინტერესებული ვართ, ვინაიდან „სპარტაკმა“ 7 დეკემბერს უნდა ჩამოვიდეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამო“ სტადიონზე.

სულ ახლახან მოვიდა ცნობა, რომ როგორც ცნობილია „სპარტაკის“ მოსანდოის ჩემპიონატის მე-14 ტურში სტუმრად თითმაში „ხალოვანის“ და ფრედ დაამთავრა მატჩი — 2:2, ამასთან „სპარტის“ ორივე ბერი გაიჭანა თავდასხმელმა ო. ჩერნენკომ.

რაც შეეხება სპარტაკელებს, მათ ინტერესს „ასტრ ვილასთან“ ჩატარებული 2 მეჯვარ მნელი, მომპყრობილი მატჩის შემდეგ თავიდან შესაძლებლობებზე ყარისყილ თითმაშეს დნეპროპეტროველის „დნეპრთან“, რაც მთლ ოჯროს მოელების ფასად დაოყვდათ, ამას გარდა, სპარტაკელები ფეხბურთელებმა ვერც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოიხენეს თავი ეროვნის ჩემპიონისტის შესარჩევ მატჩში პორტუგალიასთან. პოლანდიის „სპარტასთან“ უკვე მომზადების მიზნით მოსკოველებმა ამხანაგური სპარიაშოსო მატჩები გამართეს გერმანიის ფეხბურთელების რესპუბლიკაში. იქ მათ 3 შეხვედრა ჰქონდათ და სამივე მოგებეს, თუმცა უნდა ითქვას, „სპარტაკის“ მეტოქეები გერ-ის პროფესიონალების სამოყვარულო ლიგის გუნდები იყვნენ.

19 ნოემბერს „სპარტაკი“ მოსკოვში დაბრუნდა და ორშაბათს გიმზადარა პოლანდიაში. გუნდის შემადგენლობაში არიან დასაკი, მიხალოჩევი, სოხრნოვი, ბაზოვი, მოროზოვი, პოხნბალიკოვი, მალეშინი, კუზნეცოვი, ბუბნოვი, გლადილინი, ჩერენკოვი გაგრილოვი, როდიონინოვი, გასი, არაკელოვი.

„სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი ა. ბესკოვი დაესწრო „სპარტის“ ერთ-ერთ კალენდარულ მატჩს და აღნიშნა, რომ იგი სიძლიერით არ ჩამოუვარდებოდა პოლანდიის სხვა მოწინავე გუნდებს, ამიტომ 23 ნოემბერს მოსკოველებს კვლავ მეტად ძნელი მატჩი ელებათ.

„სპარტა“ პოლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო და უძველესი კლუბია: დაარსდა 1888 წელს). სხვადასხვა წლებში გუნდი თაეიი ქვეყნის ჩემპიონიც იყო, თასის მფლობელიც. მისი საუკეთესო ფეხბურთელები ერთეული ნაკრებებიც გამოდიოდნენ, თუმცა „სპარტა“ ოთხეულ კონკურენციას მაინც ვერ უწევდა (ნობილ „აიაქსსა“ და „ფეიენოორდს“).

პოლანდიაში ახლა დიდ იმედებს ამყარებენ „სპარტას“ გამოსულზე უკიდა თასის გათამაშებაში. წლევანდელ ევროპის საკლუბო ტურნირებში სპარტი აღით პოლანდიის 6 გუნდსა, რომელთაგან 5 უკვე გამოეთშა გათამაშებას, მათ შორის ცნობილი „აიაქსის“, „ფეიენოორდის“, „პსვ ეინდჰოვენის“ და „ფეიენოორდს“.

პოლანდიაში „სპარტას“ ჯერ არ ჰქონია რამდენიმე მაინც ზნიშნეულოვანი წარმატება ეროვნის საკლუბო თასებზე. მეტიც — ამ ტურნირებში მან ჯერ-ჯერობით ვერ მოიგო ერთი მატჩი











ემზადებიან...

26 ნოემბერს თბილისის სპორტის სახლებში გაიხსნება სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთელ ვაჟთა შორის.

ჩვეულებრივ უკვე იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შეკრიბება 6 უძლიერესი გუნდი, რომელიც შედეხებისთვის აკრძალებენ ბრძოლას.

თბილისის დინამოელები კარგა ხანია ემზადებიან ამ საპასუხისგებლო ტურნირთვის. გუნდის შემადგენლობა თითქმის უცვლელია — ავდგუროვის შემდეგ მწვრთნელობა დაბრუნდა პ. გურახპაული. ხაქვთ ზ. გრძელიძის მონაწილეობა, რომელიც ავად არის.

ეს ფოტოსურათები ჩვენს კორესპონდენტმა დილის საწვრთნელ ბაზაზე გადაიღო. „დინამო" დღეს ორ კარკეშს ატარებს — დილით და ხალამით, ამ დღეში გუნდი სპორტის სახასხლისაც ეწევა და თავის უკანასკნელ ვარჯიშებს იქ ატარებს.

ა. კოტარაშვილის ფოტო.

პოლიტექნიკოსთა საუკეთესონი

პ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ ბაზებზე გრძელდება ამ უმაღლესი სასწავლებლის XXV სპორტული სპარტაკიადა, რომელიც სპორტის 14 სახეობაში მიმდინარეობს. 4 სახეობაში უკვე დამთავრდა ასპარეზობები. უძლიერესის სახელები დაიკვედრეს: ჭადრაკში — მექანიკურ-სამშენებლო ფაკულტეტმა, ტყვიის სროლაში — სამშენებლო ფაკულტეტმა, ხელბურთში და ტურნირში უძლიერესნი იყვნენ მომავალი მაღაროელები — საშობო ფაკულტეტის სტუდენტები. ისინი დაჭიატურნენ აგრეთვე საერთო გუნდურ ჩათვლაში — 510 ქულა; 430 ქულით მეორე ადგილზე აჩიან სამშენებლო ფაკულტეტის წარმომადგენლები, ხოლო მესამე ადგილზე ჰიდრო-სანტექნიკის ფაკულტეტია — 410.

ამ დღეებშიდე მექანიკურ-სამშენებლო და მეტალურგიული ფაკულტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრათ დაიწყო ცნობილი ქართველი მწვრთნელისა და ინსტიტუტის ფიზიკური კათედრის გამგის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ კიკნაძის მემორიალური ტურნირი. იგი კიკნაძის გარდაცვალების მეათე წლისთავს ეძღვნება. ეს მატჩი დამთავრდა ანგარიშით 80:56. კავშორგამშრომლობისა და სამთო ფაკულტეტების გუნდების ორთაბრძოლის ანგარიშია — 29:24; მომავალ ენერგეტიკოსთა და გეოლოგთა მატჩი კი პირველთა გამარჯვებით აღინიშნა — 69:63. ასპარეზობა გრძელდება.

პრეზიდენტის აზრით

ბარსელონა. ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ორგანიზებაში ამერიკელი კერძო კომპანიების ფართო მონაწილეობა სამიშ პრეკედენტს ქმნის, — განაცხადა ბარსელონის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სილვიო დე მაგალია ეს პადიღიან. გაჩეი „ჟორნალ დე ბარსელონაში" მიკეთებულ ინტერვიუში მან ბაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გარაკმნის ოლიმპიაზიის იდეებს, ხელს შეუწყობს სპორტში კომერციულობისა და პროფესიონალიზმის შეჩრას, „ჩვენი ქვეყანა განვითარებადია, — თქვა პადიღიან. — სპორტში ჩვენ გამოვდიართ ნებისმიერი დისციპლინების წინააღმდეგ და ვეცავთ მშვიდობისა და ძმობის პრინციპებს".

(სატდესი).

მხოლოდ სპორტი

როგორც სოფიის გაზეთი „ნაროდნ სპორტი" ოუწყება, 1984 წლის აპრილიდან მოუხეშობი მეშობას დაიწყებს სპეციალური ტელეპროგრამა, რომლის ერთადერთი თემა სპორტი იქნება. სადღეისოდ მას უკვე ათეულობით ათასი აბონენტი ჰყავს. ამ ტელეპროგრამაში საღეზბურთო მატჩებს კომენტარს გაუკეთებენ ფ. ბეკენბაუერი და პ. ბრაიტნერი, ხოლო სპორტის სხვა სახეობებს ავრეთვე ცნობილი სპეციალისტები და ჟურნალისტები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტის სასახლის

დირექცია

კალათბურთის მოყვარულებს აცნობებს, რომ სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთები ორგანიზაციის რაიონების მიხედვით მიეყიდებათ წინასწარ, 24-25 ნოემბერს, დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

ბილეთების სერთო გაყიდვა იწყობა თამაშების დღეებში დილის 11 საათიდან სპორტის სასახლის სალაროებში.

24 ნოემბერს პროფკავშირების მძღოლობის სასახლის (წერეთლის პროსპექტი, № 95-ა) საკქო დარბაზში ჩატარდება

საწარმოო კოლექტივების ფიზკულტურულ მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობა.

დასაწყისი 11 საათზე.

თბილისის სპორტკომიტეტი.

„ლელოს" პასუხი

ჩვენი გაზეთის მკითხველები ა. ჯელაშვილი, მ. კოპალეიშვილი, თ. კანდელაკი, გ. ღოღობერიძე და სხვ. გვკეთხებიან თუ როგორია მხოლოდ რეკორდების ხაა ძალისხმობის ცალკეულ ვარჯიშებში და ორკიდში.

●

ქალისანია მსოფლიო ჩემპიონატმა მოსკოვში სპორტის მოყვარულებს ცხადად დაანახვა, რომ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ათლეტების ტოლი არ პყავთ რეკინასთან ჭიდილში. საკმარისია ითქვას, რომ 60 ოჯრის მეღლიდან მათ წილად მოხვდა 56, რაც მათ უდავო უპირატესობაზე მეტყველებს.

გთავაზობთ მსოფლიო რეკორდების სიას სადღეისოდ.

ბანაკი

52 კგ. 115,5 კგ. ნ. ტურნიასკი (ბულგარეთი). რეკორდი დამყარებულია 9.5.83 წ. — სან-მარინოში.



56 კგ. 130 კგ. ნ. სულეიმანოვი (ბულგარეთი). 23.10.83 წ. მოსკოვი.

60 კგ. 138 კგ. ვ. სვეტინი (პოლონეთი). 24.10.83 წ. მოსკოვი.

67,5 კგ. 154 კგ. ვ. ვრბანოვი (სსრ კავშირი). 3.3.83 წ. ოდესა.

75 კგ. 167,5 კგ. ვ. ქუზნეცოვი (სსრ კავშირი). 26.10.83 წ. მოსკოვი.

82,5 კგ. 180,5 კგ. ი. ვარდანიანი (სსრ კავშირი). 27.10.83 წ. მოსკოვი.

90 კგ. 195,5 კგ. ბ. ბალგოვი (ბულგარეთი). 1.5.83 წ. მოსკოვი.

100 კგ. 200 კგ. ა. ზახარევიჩი (სსრ კავშირი). 4.3.83 წ. ოდესა.

110 კგ. 196,5 კგ. ლ. ტარანენკო (სსრ კავშირი). 5.3.83 წ. ოდესა.

110 კგ-ს ზევით. 206 კგ. ა. პასარნეკო (სსრ კავშირი). 21.10.83 წ. მოსკოვი.

აპარა

52 კგ. 150 კგ. ნ. ტურნიასკი (ბულგარეთი). 22.10.83 წ. მოსკოვი.

56 კგ. 165 კგ. ი. მირზოიანი (სსრ კავშირი). 23.10.83 წ. მოსკოვი.

60 კგ. 180 კგ. ნ. ტოპუროვი (ბულგარეთი). 24.10. 83 წ. მოსკოვი.

67,5 კგ. 196 კგ. ი. ვორკი (ჩდრ). 27. 6. 81 წ. ქორლ-მარქს-შტადტი.

75 კგ. 210 კგ. ი. ვორბანოვი (ბულგარეთი). 26. 10. 83 წ. მოსკოვი.

82,5 კგ. 223,5 კგ. ა. პეტროვი (სსრ კავშირი). 5.3.83 წ. ფრუნზე.

90 კგ. 230 კგ. ს. სოლოდოვი (სსრ კავშირი). 28.10.83 წ. მოსკოვი.

100 კგ. 240,5 კგ. პ. ქუზნეცოვი (სსრ კავშირი). 29. 7. 83 წ. მოსკოვი.

110 კგ. 247,5 კგ. ვ. ქლოვცოვი (სსრ კავშირი). 30.10. 83 წ. მოსკოვი.

110 კგ-ს ზევით. 261 კგ. ს. დიდიკი (სსრ კავშირი). 21.7.83 წ. მოსკოვი.

ორკიდი

52 კგ. 260 კგ. ნ. ტურნიასკი (ბულგარეთი). 22.10.83 წ. მოსკოვი.

56 კგ. 292,5 კგ. ი. მირზოიანი (სსრ კავშირი). 23. 10. 83 წ. მოსკოვი.

60 კგ. 312,5 კგ. ი. სარქისიანი (სსრ კავშირი). 24.10.83 წ. მოსკოვი.

67,5 კგ. 345 კგ. ი. ვორკი (ჩდრ). 27. 6. 81 წ. ქორლ-მარქს-შტადტი.

75 კგ. 370 კგ. ა. ვორბანოვი (ბულგარეთი). 26. 10. 83 წ. მოსკოვი.

82,5 კგ. 400 კგ. ი. ვარდანიანი (სსრ კავშირი). 26. 7. 80 წ. მოსკოვი.

90 კგ. 420 კგ. ბ. ბალგოვი (ბულგარეთი). 1. 5. 83 წ. მოსკოვი.

100 კგ. 440 კგ. ა. ზახარევიჩი (სსრ კავშირი). 4.3.83 წ. ოდესა.

110 კგ. 440 კგ. ვ. ქლოვცოვი (სსრ კავშირი). 30. 10. 83 წ. მოსკოვი.

110 კგ-ს ზევით. 460 კგ. ა. პეტროვიჩი (სსრ კავშირი). 31. 7. 83 წ. მოსკოვი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზე: მარცხნივ — **ანატოლ პასარინკო, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში (206 კგ). მარჯვნივ — 90 კგ წონის კათლეტებში გამარჯვებული ვ. სოლოდოვი (სსრ კავშირი, II ადგილი), ბ. ბალგოვი (ბულგარეთი, I ადგილი), პ. პატრაშკინი (პოლონეთი, III ადგილი).**

ყოველ შაბათ-კვირას

დილიდან მცხეთის რაიონში, საავტომობილო გზაზე, სოფლების ცისხარისა და შუხანის გადახვევთან ავარედება მუშაობა

კოოპერაციული ბაზრობა

კოოპერაციული ორგანიზაციები აქ შემოგთავაზებენ როგორც სამამულო, ისე იმპორტული წარმოების ბრა ტანსაცმელს, ჩუსტებს, ფეხსაცმელს, საგალანტერეო, სამეურნეო, სასპორტო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ფართო ასორტიმენტს.

თბილისელებს ბაზრობაზე მისვლა შეუძლიათ დასაწყისი საავტობუსით (ავტობუსები გადის დიდუბის ავტოსადგურიდან).

მოგზარდებით, გელით!

ცისკვრიან „ცისკვრეთის „ხაჭაოპარკში".

ბაზეთი ბაოთხის ოუველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380036, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-54; ხასპარეზო უზრუნველყოფა ბუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭიდაობის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გაფორმება — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეხაზვლეები — 93-97-57.

ბაზეთი ბაოთხის ოუველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380036, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-54; ხასპარეზო უზრუნველყოფა ბუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭიდაობის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გაფორმება — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეხაზვლეები — 93-97-57.

ბაბეთი გამოდის ქართულ და აფხაზურ ენებზე. ბაბეთი დაბეჭდილია ბაბეთ „ლელოს" ტიპოგრაფიაში (თბილისი, ლენინის ქ. № 14).

საქართველოს კპ ცკ-ის, საქმოვლინოების შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელობა, 380036, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 90361 ხასპი. პოპაკალი. ფ. ინდექს 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22

ფასი — 07952